ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N048/2019
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **„3“ დეკემბერი 2019 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ - კონკურენციის სააგენტო** (შემდგომში ,,დამკვეთი”), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **რევაზ კავთელიშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „კოპიპრინტ-2000”-ის** (შემდგომში ,,შემსრულებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზაზა არახამიას** სახით, ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითხს, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ინვენტარიზაციისათვის წებოვანი სტიკერებისა და სსიპ - კონკურენციის სააგენტოს (შემგომში - სააგენტო) თანამშრომლებისათვის სავიზიტო ბარათების ბეჭდვისა და ადგილზე მიწოდების მომსახურების (CPV 79823000) და სააგენტოს თავმჯდომარისათვის სახელიანი აბრის (**CPV 44423400**) დამზადების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულების საგნის აღწერილობა და ფასები მოცემულია დანართი N1-ში.

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	CPV კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარში)	თანხა ჯამში (ლარი)
1	ინვენტარიზაციისათვის წებოვანი სტიკერების ბეჭდვისა და ადგილზე მიწოდების მომსახურება	79823000	კვმ	1.5	35.00	52.50
2	სავიზიტო ბარათების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე (მასალა ტილო), რვა თანამშრომლისათვის	79823000	ცალი	900	0.20	180.00
3	თავმჯდომარისათვის სახელიანი აბრის დამზადება. მასალა პლასტიკი ზომით 30/20 სმ	44423400	ცალი	1	30.00	30.00
	ჯამი					262.50

2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებაა **262.50 (ორასსამოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარი.**

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.3. ანგარიშსწორება წარმოებს საქონლის მიღების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.4. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში - მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

2.5. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე (მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე) უფლებამოსილი პირია სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **რევაზ კავთელიშვილი,** ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - დირექტორი **ზაზა არახამია.**

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

3.1.1. მოითხოვოს შემსყიდველისგან გადაიხადოს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.2.1. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს განხორციელებას.

3.2.2. დაამზადოს და გადასცეს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.3.1. აწარმოოს ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი;

3.4 შემსყიდველი ვალდებულია:

3.4.1. არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

3.4.2. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

3.4.3. დროულად მიაწოდოს მიმწოდებელეს ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქონლის სათანადო დროში და ხარისხიანად დამზადებისთვის.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დაცვაზე კონტროლს განახორციელებს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი რევაზ კავთელიშვილი;

4.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა.

4.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.4. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.4.1. სამუშაოს შესრულების ვადების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დადგენა;

4.4.2. შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმება;

4.4.3. მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

5. მომსახურების შესრულების პირობები, ადგილი და ვადები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის დამზადება და შემსყიდველისთავის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში;

5.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N5

5.3. შესყიდვის შემდეგ, შემსრულებელმა დამკვეთს უნდა მიაწოდოს სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურა, შესყიდვის ობიექტის დასახელების, რაოდენობის და საერთო ღირებულების

მითითებით. მომსახურება შესრულებულად ითვლება, მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების/ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

8.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გონივრულ ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა ან უთანხმოება შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

10.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

11.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

11.4. ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ - კონკურენციის სააგენტო :
იურიდ. მის. ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. N154;
ს/კ 205310938;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22;
ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი:
რევაზ კავთელიშვილი

Revaz Kavtelishvili
Digitally signed by Revaz Kavtelishvili
Date: 2019.12.03 14:15:26 +04'00'

მიმწოდებელი:
შპს „კოპიპრინტი-2000“:
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N5;
ს/კ. 205166210;
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22 ;
ა/ა GE10TB 0600 0003 6020 3670;
დირექტორი:
ზაზა არახამია

copyprint - 2000 LTD
Подписано цифровой подписью: copyprint - 2000 LTD
Дата: 2019.12.03 15:01:38 +04'00'